ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N118 განკარგულების ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2015-2017 წლებში რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ შესრულების მდგომარეობის შეასახებ

2015 წელი

2015 წლისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სამოქმედო გეგმით უნდა განხორციელებულიყო 7 პროექტი. სავარაუდო თანხით 2 500 000 ლარის ფარგლებში. კერძოდ:

1.კიცხი-ხიდრის გზის გზის რეაბილიტაცია; სავარაუდო თანხით -800 000, სახელშეკრულებო თანხა 672 058 ლარი;

2.ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია სავარაუდო თანხა 600 000, სახელშეკრულებო თანხა 600 000 ლარი;

3.ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა 300 000 ლარი; (არ განხორციელდა)

4.დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, სავარაუდო თანხა 450 000 ლარი, სახელშეკრულებო თანხა 449 999 ლარი;

5.დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოსა და მისი მიმდებარე ქუჩების: დევდარიანი, გურამიშვილის და ჭიპაშვილის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, სავარაუდო თანხა 200 000 ლარი, სახელშეკრულებო თანხა 173 890 ლარი;

6.დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სავარაუდო თანხა 50 000 ლარი, სახელშეკრულებო თანხა 38 791 ლარი;

7.დაბა ხარაგაულში ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის არსებული შენობის რეაბილიტაცია სავარაუდო თანხა 100 000 ლარი, სახელშეკრულებო თანხა 92 223 ლარი;

ჩამოთვლილი პროექტებიდან 2015 წელს არ განხორციელდა ზვარის ახალგაზრდული ბანაკის რეაბილიტაცია. დამატებით 2015 წელს განხორციელდა ორი პროექტი:

1.ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის გზის რეაბილიტაცია სავარაუდო თანხა 200 000 ლარი, სახელშეკრულებო თანხა 120 000 ლარი;

2.ხარაგაული-ფარცხნალი გზის რეაბილიტაცია -მეორე ეტაპი სავარაუდო თანხა 250 000 ლარი, სახელშეკრულებო თანხა 230 000 ლარი;

2015 წელს სულ განხორციელდა 8 პროექტი თანხით 2 408 490 ლარი.

2016 წელი

2016 წლისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სამოქმედო გეგმით უნდა განხორციელებულიყო 6 პროექტი. სავარაუდო თანხით 2 650 000 ლარის ფარგლებში. კერძოდ:

1.უბისა-ღორეშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია სავარაუდო თანხა1 200 000 ლარი, სახელშეკრულებო თანხა 959 815 ლარი;

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებულ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე შშ პირებისათვის პანდუსების მოწყობა სავარაუდო თანხა 100 000 ლარი. (არ განხორციელდა);

3.სოფელ საღანძილეში საბავშვო ბაღის მშენებლობა სავარაუდო თანხა 150 000 ლარი.(არ განხორციელდა);

4.ხუნევი-გედსამანიის გზის რეაბილიტაცია სავარაუდო თანხა 650 000 ლარი, სახელშეკრულებო თანხა 439 408 ლარი;

5.შშმ პირებისათვის და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის დასაქმების ხელშეწყობა სავარაუდო თანხა 300 000 ლარი. (არ განხორციელდა);

6.დაბა ხარაგაულის ქუჩებისა და ჩიხების მოასფალტება სავარაუდო თანხა 250 000 ლარი. (არ განხორციელდა);

სამოქმედო გეგმაში ჩამოთვლილი პროექტებიდან 2016 წელს არ განხორციელდა შემდეგი პროექტები: პანდუსების მოწყობა, საღანძილის ბაღის მშენებლობა, შშმ პირებისა და სოც.დაუცველი მოქალაქეებისათვის დასაქმების ხელსეწყობა (საწარმოს მოწყობა), დ. ხარაგაულის ქუჩების და ჩიხების მოასფალტება. ნაცვლად ამ პროექტებისა 2016 წელს განხორციელდა შემდეგი პროექტები:

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 99 999 ლარი;

2.ხევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 70 169 ლარი;

3.სოფელ ღორეშის, წიფისა და მოლითის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია 132 351 წელი;

4.ხარაგაული ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია ა/ცენტრიდან სოფელ ღარიხევის გადასახვევამდე 230 249 ლარი;

5.გზის დამცავი კედლების მოწყობა 104 999 ლარი;

2016 წელს სულ განხორციელდა 7 პროექტი თანხით 2 036 990 ლარი.

2017 წელი

2017 წლისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სამოქმედო გეგმის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო 4 პროექტი. სავარაუდო თანხით 2 800 000 ლარის ფარგლებში. კერძოდ:

1.ხარაგაულისმუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთი-სარგვეში გზის რეაბილიტაცია 1 000 000 ლარი;

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარელისის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია.1 000 000 ლარი;

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახანის გზის რეაბილიტაცია სავარაუდო თანხა 650 000 ლარი, სახელშეკრულებო თანხა 460 000 ლარი;

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნადაბურში საბავშვო ბაღის მშენებლობა სავარაუდო თანხა 150 000 ლარი, სახელშეკრულებო თანხა 177 444 ლარი;

სამოქმედო გეგმაში ჩამოთვლილი პროექტებიდან ბაზალეთი-სარგვეში გზის რეაბილიტაციის პროექტი შეიცვალა და მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსაზღვრულია ბაზალეთი ღორეშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ხოლო მარელისის გზის რეაბილიტაცია განხორციელდა 2016 წელს მგფ-ის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე 2017 წელს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტებთან ერთად დამატებით ხორციელდება 13 პროექტი კერძოდ :

1.საღანძილის ა/ერთეულის სოფლებში (სოფ.ვანი 3760მ, სოფ.ჩხერი 1000მ,) გზების რეაბილიტაცია 4.8კმ; ტენდერი დასრულებულია მიმდინარეობს შერჩევა შეფასება 981 281

2.წყალაფორეთის ა/ერთეულის სოფლებში (სოფ.ხონი400მ , სოფ.ლახუნდარა 2300მ) გზების რეაბილიტაცია, სახელშეკრულებო თანხა 358 600 ლარი (შპს,,მიმდემი“ მიმდინარეობს სამუშაოები);

3.ხევის ა/ერთეულის სოფელ წაქვაში გზის რეაბილიტაცია 1,5 კმ, სახელსეკრულებო თანხა 249 097 ლარი. (შპს,,პემ“ მიმდინარეობს სამუშაოები);

4.ბორითის ა/ერთეულის სოფელ მაქათუბანში გზის რეაბილიტაცია -2 კმ, სოფელ ვაშლევის პირველი უბნის (ტაძართან) გზის რეაბილიტაცია 0,880 კმ. სახელშეკრულებო ღირებულება 422 988 ლარი.(შპს,,დავითი“ მიმდინარეობს სამუშაოები);

5.ბაზალეთის ა/ერთეულის სოფელ ღარიხევში გზის რეაბილიტაცია 300 მ, სახელშეკრულებო ღირებულება 63 109 (შპს,,დავითი“ მიმდინარეობს სამუშაოები);

6.მოლითის ა/ერთეულის სოფელ ქვების ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 1 კმ, სახელშეკრულებო ღირებულება 159 340 ლარი (ამხანაგობა,,ელიტ და კომპანია“მიმდინარეობს სამუშაოები)

7.ნებოძირის გზის რეაბილიტაცია, სახელშეკრულებო თანხა სახელშეკრულებო ღირებულება 159 335 ლარი (ამხანაგობა,,ელიტ და კომპანია“მიმდინარეობს სამუშაოები)

8.სოფელ ლაშის იგორეთის საავტომობილო გზის რეაბილირტაცია, სახელშეკრულებო ღირებულება 260 000 ლარი (შპს,,მიმდემი“ მიმდინარეობს სამუშაოები);

9.სოფელ ხიდარში სკოლასთან მისასვლელი გზის მობეტონება, სახელშეკრულებო ღირებულება 63 141 ლარი (შპს,,ჯეო როუდ ინვესტი“ მიმდინარეობს სამუსაოები);

10.სოფელ ვარძიაში პირველი უბნის გზის მობეტონება (500მ) სახელშეკრულებო ღირებულაბა 60 323 ლარი (შპს ,,ჯეო როუდ ინვესტი“ მიმდინარეობს სამუშაოები);

11.სოფელ გოლათუბანის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (500 მ-იანი მონაკვეთი), სახელშეკრუელებო ღირებულება 52 854 ლარი (შპს,,მიმდემი“)

12.სოფელ ვერტყვილაში სასოფლო გზის მობეტონება, სახელშეკრულებო ღირებულება 124 803 ლარი (შპს,,პემ“ მიმდინარეობს სამუშაოები);

13.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ გოლათუბნის სასოფლო გზის მობეტონებასახელშეკრუელებო ღირებულება 168 120 ლარი (შპს,,მიმდემი“)

სულ 2017 წელს განხორციელდება 15 პროექტი (აქედან1 მთის ფონდი) თანხით 3 735 154 ლარი.

2015-2017 წლებში სულ განხორციელდა და მიმდინარეობს 8 180 634 ლარის სამუშაოები.